1-ს იანვარს წელიწადი მეორე. 1884 წელსა.

მწყემსი

№ 1.

გაზეთის ფასი: ერთი წლის გაგზავნით და გაუგზავნელად—ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა—სამი მანეთი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: გაზეთის „მწყემსის" რედაქციაში, დაბა შორაპანს. *Въ мѣстечко Шорапанъ. Въ редакцію „Мцкемси" (Пастырь).*

განცხადებანი მიიღებიან გაზეთში დასაბეჭდათ ზომიერ ფასათ. მიიღებიან აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებაების დართვა გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი. და თუ ავტორებთა თავის ვინაობის გამოცხადება არა სურსთ რედაქცია არ გამოაცხადებს მათ.

ავტორთაგან გამოგზავნილნი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განმამავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

შინაარსი: განჩინება უწმიდესის სინოდისა.—ახალი წელიწადი.—მაგირდების საზოგადო ბინის აღშენების კითხვისა გამო.—წერილები ათონის მთიდამ.—სხვა და სხვა ამბები და შენიშვნები.—ჟურნალ გაზეთებთა მიმოხილვა.—სიტყვა, თქმული იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ.—სახე უფლისა იესო ქრისტესი.—ლექსები: ღმერთი, ნამგრევი საყდარი.—მართლ-მადიდებელი ეკკლესიის ღვთის-მსახურების ტიბიკონის კითხვების ახსნა და განმარტება.—რედაქციის პასუხი.—კალენდარული ცნობები.—განცხადებანი.

ოფიციალური ნაწილი.

I განყოფილება.

განჩინება უწმიდესი სინოდისა.

19 ოკდომბრიდამ—22 ნოემბრიდამ 1883 წლისა № 2102 უწმიდეს სინოდში შესულთა თხოვნათა და საჩივრებთა შინაარსი და ფორმა რომელთაცა არ ეთანხმებიან კანონის მოთხოვნილებას.

ოქაზისამებრ მისის იმპერატორებითი დიდებულებისა უწმიდესმა და უმართებულესმა სინოდმა, შემდეგ მსჯელობისა შესახებ შინაარსისა და ფორმისა ზოგიერთთა თხოვნათა და საჩივრებთა, შემოსულთა სხვა და სხვა პირთაგან, ბრძანეს: საქმის წარმოებისაგან სინოდის კანცელარიასა შინა იხედება, რომ მრავალნი პირნი, როგორც სასულიერო აგრეთვე საერო წოდებათაგანი, მლიერ ხშირად მოიქცევიან უწმიდესის სინოდისადმი თხოვნებით და საჩივრებით შინაარსი და ფორმა რომელთა არ ეთანხმებიან კანონის მოთხოვნილებათა: 1) ზოგიერთნი მთხოვნელნი, წინაალმდეგ კანონის აზრისა სტ. 204, X ტომისა, II ნაწილისა სამოქ. სჯულად. გამოცემულთა 1876 წელსა, სწერენ თხოვნებში და საჩივრებში საწინაალმდეგო, გასაკიცხავ და ხან-დის-ხან უშვერ სიტყვებსა. მოხდება ხშირათ, რომ პირნი, რომელნიც ეკუთვნიან ეკკლესიის კრებულთა, ჰბედავენ ამ უწესო და შეუფერებელი სიტყვების გამოთქმას ეპისკოპოსებზე. 2) ჰგზავნიან თხოვნებს სხვების მაგიერ ვექილობით, ანუ მინდობილებაებით, მაგრამ ან სრულებით არ წარმო-

ადგენენ ვექილობათა, წინააღმდეგ 14 პუნკტ. 224 სტ. X ტომ. II ნაწ., ანუ წარმოადგენენ ჯეროვანად დაუმტკიცებელთა. 3) ზოგიერთნი გამოგზავნიან რა თხოვნათა, არ აწერენ თანახმად 206 სტ. X ტომ. II ნაწ., თვის სახელს, მამის სახელს, გვართა ⁊ წოდებათა, აგრეთვე არ წერენ თავიანთ წოდებას ⁊ ცხოვრების ადგილთა, ანუ აწერენ, მაგრამ ისე ცუდათ ⁊ გაურჩევლად, რომ შესაძლო არ არის მათი წაკითხვა; ბოლოს აღმოჩნდება ხოლმე, რომ ამისთანა თხოვნები ⁊ საჩივრები არიან შემოსულნი გამოგონილი სახელებით, ანუ განგებ არის დაფარული სახელი ⁊ ცხოვრების ადგილი ამისთანა მთხოვნელებთა ⁊ მომჩივნებთაგან. 4) პირნი, გადამწერნი ანუ ხელის მომწერნი თხოვნებზე მთხოვნელთა უწერილობისა გამო, არ ასრულებენ მოთხოვნილებათა 205 სტ. X ტომ. II ნაწ., რომლითაც ითხოვება, რომ უნდა მოაწერონ იმ თხოვნებზე სახელი, მამის სახელი, გვარი ⁊ წოდება გარდამწერთა ანუ უწერლობისაგამო ხელის მომწერთა. 5) შემოდიან უწმიდეს სინოდში თხოვნები სამღვდელო მსახურებთა ძრევლისაგან გადაყენებაზე ⁊ ძრევლში სამღვდელო მოსამსახურეთა დანიშვნაზე, რომელთანაც წარმოიოგინებიან საზოგადოებისაგან შედგენილნი განჩინებანი ამისთანა გადაყენებაზე ⁊ დანიშვნაზედ, რომელთაც არა ვითარი მნიშვნელობა არა აქვსთ ამისთანა საქმეებში, ძალისა გამო 2196 ⁊ 2198, 2 ტომ. I ნაწ. გამოცემულის 1876 წ. მით უმეტეს, რომ, როგორც ზოგიერთ შემთხვევაში აღმოჩნდა, ამისთანა განჩინებაში ნაჩვენებთა პირთა კითხვის დროს განაცხადეს, რომ მათ სრულებით მონაწილეობა არ მიუღიათ ⁊ უარს ჰყოფენ ამისთანა განჩინებათა. 6) საეკლესიო კრებულთა პირნი მოიქცევიან არა იშვიათად წინააღმდეგ 70 სტ. სასულიერო კანსისტ. წესდებისა, გამოცემულის 1883 წ. (სტ. 74, 1841 წ. გამოც.) არა ეპარხიის მღვდელ-მთავრისადმი, არამედ პირ-⁊-პირ უწმიდეს სინოდში თხოვნით სამღვდელო ⁊ საეკლესიო მოსამსახურის ადგილებთა ეპარქიებში, ანუ ჩივიან, რომ მათ არა სურსთ დანიშნული მათდამი ადგილები. იცნობს რა ყველა ზემო მოხსენებულ თხოვნებს ⁊ საჩივრებს წინააღმდეგ კანონის მოთხოვნილებთა, უწმიდესი სინოდი, განსარინებლად, შემდეგ დროში ტუუვილ უბრალო მათზე მიწერ მოწერათა, სცნობს მიუცილებლად გამოაცხადოთ საყოველთაო საცნობლად დაბეჭვდით „საეკლესიო ⁊ მართებლობის უწყებებში“, რომელ ყველა თხოვნები ⁊ საჩივრები შემოსულნი სინოდში: ა) რომელთა შინა იქმნება არა შესაბამი ⁊ ურიგო სიტყვები; ბ) რომელთა ზედა არ იქმნებიან მოწერილნი სახელნი, მამის სახელნი, გვარნი, წოდება ⁊ ადგილი საცხოვრებელი მთხოვნელთა, ანუ არ იქმნებიან ხელ მოწერილნი თხოვნის დამწერთაგან უწერილობისა გამო მთხოვნელთა; გ) შემოტანილნი ვექილობით, რომელნიც დამოწმებულნი არ იქმნებიან ჯეროვანად ⁊ დ) რომელნიც ექვემდებარებიან უაპელაციოთ (უჩივლელად) ეპარხიის მღვდელ-მთავრებთა გარდაწყვეტას, იქმნებიან დატევებულნი ამის შემდეგ უყურადღებოდ ⁊ უწარმოებლად, გამოეცხადებათ ამაზე მხოლოდ მთხოვნელთა. ამისთვის ჯეროვანის გამოცხადებისათვის, ეცნობოს „ცერკოვნი ვესტნიკის“ რედაქციას დასაბეჭვდათ.

არა ოფიციალური ნაწილი.

II განყოფილება.

ახალი წელიწადი.

1-ს იანვარს. საზოგადოდ მიღებულია ახალი წლის დამდეგს ძველი წლის ანგარიშის გამოცხადება: მისგან მოტანილი ნაყოფის დაფასება, ანუ განკიცხვა. ჩვენც გადავავლოთ ერთი თვალი ამ წარსულ წელს და გამოვიკვლიოთ, რა მოგვიტანა ჩვენ ძველმა წარსულმა წელიწადმა? ჩვენდა სამწუხაროდ, არა თუ მარტო ერთმა ძველმა წარსულმა წელიწადმა, არამედ ორ-სამ წარსულ წლებსაც არა ფერი შესამჩნევი ნაყოფი მოუტანია ჩვენთვის. მთელი რუსეთის სახელმწიფოის ცხოვრებას თავი დავანებოთ; ავილოთ მარტვა ჩვენი კუთხე, საქართველო. რაებს ვხედავდით ჩვენ წარსულ წელში? თვალ საჩინოდ ხალხში ზნეობის დაცემას, რომლისაგან გავრცელდა ხალხში: ქურდობა, ავაზაკობა, ტყუვილი ფიცი და უბრალო მიზეზებისათვის კაცის ხოცვა; ნივთიერად სიღარიბეს და სიღატაკეს, წარმოდგენილს წამხედურობისა და უთავბოლო ცხოვრებისაგან; უბრალო მიზეზებისაგამო დავალიანებას და დავახჩიანებას; ყოველივე კეთილ საქმეში უთანხმოებას და გულ გრილობას, სოლცარ მოუმდომელობას ყოველივე საკეთილო საზოგადო სასარგებლო საქმეებშიდ და სხვა...

ისტორია გვიმტკიცებს, რომ, როდესაც ხალხი რაიმე განსაცდელში ვარდება, იქ იბადება: ერთობა, ძმობა, სიყვარული, კეთილ ზნეობა და კეთილისადმი გულმოდგინებით ლტოლვილება. ჩვენ წარსულ წელში, სამწუხაროდ, ვერაფერ ამისთანას ვერას ვხედავთ.

ვერ შეთვისებულან ერთად: ორი ძმა, ორი მწერალი, ორი საზოგადო საქმისათვის მოსამსახურე პირი: მოხდა შემთხვევები, ძმამ ძმა მოჰკლა ორი საჟენი მიწის გულისათვის. ვერ შეთვისებულან ორი გაზეთი და ერთი ჟურნალი ერთად; არ უთმენსთ გული, რომ ერთი ერთმანეთი არ ლანძღონ უშვერის სიტყვებით...

მოშორდა საქართველოს წარსულ წელში დიდი გვარის და ჩამომავლობის პირები. შეიქმნა მათზე დიდი წუხილი და ვაება. გამოგვიყრუეს ყურები წერით და ლაპარაკით მათ პატრიოტობაზე, მათ მამულის სიყვარულობაზე, გაჭირვებულთა შებრალებაზე და ყოველივე კეთილ საქმეზედ გულმხურვალეობით მონაწილეობის მიღებაზე, მათ დიდ და ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე, მოყვასთა სიყვარულზე და ქველ საქმეებზე...

საღმრთო წერილი ბრძანებს: „სარწმუნოება თვინიერ საქმისა მკვდარ არს.“ ჭეშმარიტად! ყოველ ხალხში, თითქმის, ჩვეულებათ აქვსთ მიღებული სიცოცხლეში სხვა და სხვა კეთილ საქმისათვის ფულების შეწირვა და სხვა და სხვა საშუალებაებით კეთილ საქმეში შემწეობის აღმოჩენა; სიკვდილის შემდეგ ანდერძით ფულების დატოვება ეკკლესიისა და მამულის სასარგებლოდ. იქ ყოველ პირს სასიქადულოთ მიაჩნია ამისთანა კეთილის საქმის აღსრულება. ჩვენში? ღმერთმან დაიფაროს ამისთანა საქმეთაგან ჩვენი მდიდარი ქართველები! ნახევარ მილიონის საფასე მამულს უტოვებენ ვილაცა გარეშე მემკვიდრეთა, ისეც მდიდართა, არ რჩებოდათ არც ცოლი, არც შვილი და ეკკლესიის ანუ სკოლების სასარგებლოდ არ დაუტოვებიათ ერთი გროში. თავიანთ აუარებელი მამულებისაგან საკეთილო დაწესებულებათათვის არ გადაუდვიათ არც ერთი მანეთი. მზათ იყვნენ ბანქოს თამაშობით ორი ათასი მანეთი დაეღუპათ, მაგრამ თავისი ეკკლესიის სასარგებლოდ და მღვდლის სარჩოდ ორ მანეთსვერ გაამეტებინებდით.

აი ამისთანა და სხვა სამწუხარო სურათებს წარმოგვიდგენს ჩვენ ძველი წლის ანგარიშის განხილვა და მისი დაფასება საზოგადოდ.

მაგრამ ყველა მიეგებება ახალ წელს ახალი უმჯობესი იმედებით და სურვილით. ღმერთმაც ნუ ჰქნას, რომ კაცს ეს იმედები მოშლოდეს. ამისათვის ჩვენც, ჩვეულებისამებრ, მოგილოცავთ ყველას ახალ წელიწადს ახალი უმჯობესი იმედებით.

პირველად მოვიქცევით თქვენთან, მწყემსნო, და ვსთხოვთ ღმერთს თქვენს წარმატებას, ბეჯითად და კეთილად თქვენი დიდი მოვალეობის აღსრულებას. ჩვენზეა ეხლა მოქცეული ყველას თვალი. ღრმათ იდგამს ფესვებს ხალხში უზნეობა. დიდი შრომა მოგველის ამ უზნეობის აღმოსაფხვრელად. ჩვენი მოვალეობაა: ვასწავებდეთ, მღვდელმოქმედობდეთ და, უმთავრესად ყველაზე საჭიროა, სახედ ვქმნეთ ჩვენ სამრევლოთა რელიგიური და კეთილ-ზნეობრივი ცხოვრებითა. ღვთაებრივმა მწყემსთ მთავარმა დიდი მოვალეობა დასდვა ჩვენზე, მწყემსებზე. მან მოგვანიჭა ბევრი, მაგრამ ბევრსაც მოითხოვს ჩვენგან. მართალია მძიმე მოვალეობაა ჩვენი მოვალეობა, მაგრამ ღვთის შეწევნით და გულს მოდგინებით დავსძლევთ ყველა გაჭირვებას. დაუახლოვდეთ ჩვენ სამრევლოთა და დაუმტკიცოთ ჩვენ სიტყვიერთა ცხოვართა კეთილი მწყემსობა, დაუმტკიცოთ მათ, რომ მათი მწუხარეობა ჩვენი მწუხარეება არის და მათი ბედნიერი და კეთილი ცხოვრება ჩვენი უგუ-

ლითადესი სასიხარულო და სანატრელი სურვილია... Დაუახლოვდეთ სამწყსოთა ჩვენთა და მიესცეთ მათ კეთილი რჩევა და დარიგება ყოველსა კეთილსა საქმესა შინა. Ყოველთვის გაჭირვების დროს ხალხის წინამძღოლი იყო სამღვდელოება. Იქნება სხვა ხალხთა და მათ მღვდლებთა შორის იყო და არის სხვა ნაირი დამოკიდებულება, მაგრამ ჩვენ ხალხთა და სამღვდელოთა შორის არასოდეს არ ყოფილა სხვა რაიმე დამოკიდებულება, გარდა მამა-შვილური დადამოკიდებულებისა. Ამისთანა მამა-შვილური დამოკიდებულება აღამაღლებს ხალხს ზნეობითად და გონებითად და მიანიჭებს მას კეთილდღეობას.

Ჩქენცა, სამწყსონო, მოგილოცავთ ახალ-წელიწადს და ვსთხოვ ღმერთსა, რათა მან მოგანიჭოსთ კეთილ-ზნეობითი ცხოვრება, ცხოვრებაში ზომიერი მომჭირნეობა, სწავლისა და შრომის მოყვარეობა, ურთიერთ შორის და მოყვასთა მიმართ სიყვარული და თანხმობა, ხოლო მტერთა ზედა ძლევა და მრეველობა და ყოველსა შინა კეთილი წარმატება მრავალსა წელსა!..

შაგირდების საზოგადო ბინის აღშენების კითხვისა გამო.

„ჰწყემსის" მე №3-ში ჩვენ წავიკითხეთ მ. ე. ვეფხვაძის წერილი შესახებ ქუთ. სასულიერო სასწავლებლის შაგირდებისთვის საზოგადო ბინის აშენებაზე. ეს კითხვა ფრიად საყურადღებოა ჩვენი სამღვდელოებისათვის და ყველა მოვალეა ამ საგანზე თავის აზრი გამოთქვას. Ამიტომაც საჭიროდ ვსთვლი ჩემი აზრი ამ საგანზე სამღვდელოებას გაუზიარო.

Ბიდი ხანია მას აქვს, რაც აღძრულია კითხვა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შაგირდებისათვის საზოგადო ბინის აღშენებაზე, მაგრამ ეს კითხვა ჯერეც არ არის სისრულეში მოსული და, ვინ იცის, როდის მოვა. Აზრი საზოგადო ბინების აშენებისა არ ეკუთვნის თვით სამღვდელოებას. Საზოგადო ბინების აშენება, როგორც ქუთ. სასულიერო სასწავლებლის შაგირდებისთვის, ისე სხვაგან საჭიროდ დაინახეს იმ პირებმა, რომელნიცა რუსეთიდამ ჩვენი სასწავლებლების სარევიზიოთ მოდიან. Ამ პირებთა ძალიან ცოტად იციან ჩვენი ცხოვრება და ჩვენი სამღვდელოების ეკონომიური მდგომარეობა. Ერთმა ამისთანა პირმა, ქუთაისში მყოფობის დროს, დაიარა შაგირდების ბინა და, როცა ნახა, რომ ერთ სახლში შაგირდები ღომსა სჭამდნენ, გაკვირვებით წამოიძახა: „მალე საზოგადო ბინა გაუკეთეთ შაგირდებს და კარგი საჭმელები აჭამეთ, თორემ ამისთანა საჭმლით ყველანი დაიხოცებიან"...

ესმ საზოგადო ბინის აშენებაზე ძალიან მოწადინებული იყო განსვენებული ზედამხედველი მ. ასათიანი. მას უნდოდა სასწავლებლის მახლობლად აეშენებია ერთი დიდი სახლი, რომელშიაც მთელი ქუთ. სასულიერო სასწავლებლის შაგირდები დატეულიყვნენ. Ამისთანა სახლის აშენებას ის ძალიან ადვილ საქმედ სთვლიდა! განსვენებული რაჭის და ლეჩხუმის სამღვდელოებას ურჩევდა, რომ მათ ხის მასალა მოეტანათ; დანარჩენს სამღვდელოებას ზოგს კირის მოტანა შეაწერა, ზოგს სილისა და ქვა ხომ ძველ ნაციხვარაზე ბევრი იყო. Განსვენებულმა ამ საზოგადო ბინის აშენებისთვის პროექტიც შეადგინა, მაგრამ სამღვდელოებამ ეს პროექტი არ მიიღო და სულ უარი განაცხადა საზოგადო ბინის აშენებაზე. Სამღვდელოებამ განაცხადა მაშინ, რომ ჩვენი ერთი სასულიერო სასწავლებელი ვერ აკმაყოფილებს ყველას და ამიტომ ჩვენ ჯერ საჭიროდ ვხედავთ მეორე .ოთხ-კლასიანი სასწავლებლის გახსნას და მერე, როცა შეძლება ნებას მოგვცემს, ჩვენ თვითონ ვიზრუნებთ საზოგადო ბინის აშენებაზეო.

Ჰოგორც ვიცით, სამღვდელოებას ქ. თბილისშიაც უნდოდა საზოგადო ბინის აშენება შაგირდებისთვის, მაგრამ ვერ მოახერხეს, თუმც თბილისში მეტად საჭიროა ოთხ-კლასიან სასწავლებელთან ამისთანა ბინები, რადგან შაგირდები დაბნეული არიან ქალაქში და ამ ფერი ცხოვრება მავნებელია შაგირდების ზნეობისათვის. Არამც თუ ჩვენს საქართველოში, რუსეთშიაც ბევრგან არ არის ამისთანა ბინები ოთხ-კლასიან სასწავლებლებთან, როდესაც რუსეთის სამღვდელოება თავისი ნივთიერი მდგომარეობით წინა სდგას ჩვენსაზე და მათ უფრო შეძლება აქვსთ, რომ საზოგადო ბინები ხეირიანად მოაწყონ.

Კითხვა საზოგადო ბინის აშენებაზე თითქმის დავიწყებულად მიაჩნდა ყველას; მაგრამ ეხლა გამოჩნდნენ ისეთი პირნი, რომელთაც ისევ აღძრეს ეს კითხვა. ჩვენ ძალიან გვიკვირს ამ პირების საქციელი, რომელნიც წინეთ, განსვენებული ასათიანის დროს, წინააღმდეგნი იყვნენ საზოგადო ბინისა და ეხლა კი მეცადინობენ და სხვასაც აგონებენ საზოგადო ბინის აშენებას.

Ბის მაგიერ რომ ამ პირებმა თავისი შედგენილი პროეკტით გააგებინონ სამღვდელოებას შემდეგი:

რამდენი ფული იქნება საჭირო საზოგადო ბინის აშენებისათვის? როგორ უნდა იცხოვრონ ამ ბინებში შაგირდებმა? მათ ერთნაირი საჭმელ-სასმელი უნდა ექმნესთ, თუ ყველა შაგირდებმა თავ-თავისთვის უნდა იქონიონ ხარჯი და ამზადონ საჭმელი ცალკე? ანუ როგორი წესით უნდა იცხოვრონ მათ? ამის მაგიერ წარმოდგებიან ზოგიერთნი პირნი და ურჩევენ სამღვდელოებას, რომ მათ საზოგადო ბინები გააკეთონ, როდესაც თითონაც არ იციან, თუ როგორ უნდა იყოს საზოგადო ბინები მოწყობილი და ამიტომაც პირდებიან სამღვდელოებას, რომ მათ თითო შვილის შენახვა თვეში სამი-ოთხი მანეთი მეტი არ დაუჯდებათ. ზოგიერთს ჰგონია, თუ სამოთხ ოთახიანი სახლი გააკეთა საზოგადო ბინისთვის სამღვდელოებამ, ზეით და ქვეით ჭერი გაუკეთა და შერეკა შიგ შაგირდები, ამით სწავლის საქმეც კარგად წავა და მღვდლებსაც სამი-ოთხი მანეთის მეტი არ დაეხარჯება თითო შვილზე თვეში!..

Ერთი საზოგადო ბინა საკმაო არ არის, რომ მითი გავაუმჯობესოთ ჩვენი შვილების მდგომარეობაც და ჩვენი მღვდლები შვილების შენახვაზე იოლად გამოვიდენ. საზოგადო ბინის სახლი, იქნება ის აშენებული მთელი სასწავლებლის ოლქის სამღვდელოებისაგან, თუ ცალკე თითო საბლაღოჩინო მღვდლებისაგან, უნდა იყოს აშენებული სასწავლებლის დასამხარ ადგილას; ოთახები მასში უნდა იყონ დიდნი და კარგად მოწყობილნი. თითო შაგირდზე უნდა იყოს გადაწყვეტილი გადასახადი ფული; ყველა შაგირდებს უნდა ჰქონდეთ ერთი საზოგადო სამზარეულო, რომელშიდაც ყველას უმზადებდნენ ერთნაირ საჭმელს, უნდა ჰყავდეთ შაგირდებს რეპეტიტორი და ყურის მგდებელი. ყველა ამას უნდა ფულები და ჩვენს ღარიბ სამღვდელოებას ამისთანა უბრალო საზოგადო ბინის მოწყობაც არ შეუძლია. შეიძლება, ერთმა შვილის მამამ რამე მოახერხოს, მაგრამ რა ჰქნას იმან, რომელსაც ჭუთ. სასულიერო სასწავლებელში სამი და ოთხი შვილი ჰყავს.

Ეარგია, რომ სამი და ოთხი მანეთით გამოვიდოდეს კაცი თითო შვილის შენახვაში, მაგრამ რომ ეს ფულები საკმარისი არ არის, ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ შემდეგ ფაქტს: ჭუთაისის სასულიერო სასწავლებელში არის პანსიონი, სადაც ოცდა ათამდე არის შაგირდი. თითო შაგირდზე თვეში დადებულია ხუთი მანეთი. ამავე პანსიონში არის ათიოდე შაგირდი, რომლებზედაც წელიწადში არის დადებული თორმეტ-თორმეტი თუმანი. ამ პანსიონის შაგირდებს სამღვდელოებაც წელიწადში თითქმის 500 მანეთამდე ეწევა თავის ჯიბიდგან. მთელს წელიწადში შაგირდები პანსიონში რჩებიან ცხრა თვე,—ხარჯი კი წლის ეძლევათ. ეხლა შევადაროთ პანსიონრების ცხოვრება, მათი ზნეობა, გონებითი გახსნილობა და ჯანის სიმრთელე გარეშე შაგირდების ცხოვრებას, ზნეობას, გონებითი გახსნილობას და ჯან-მრთელობას. სამწუხაროდ, ენახამთ, რომ დიდი განსხვაება არ არის! ამისათვის ვამბობთ, ზოგი ვაჟ-ბატონები ძალიან მოტყუებულნი არიან, როცა ამდენ სიკეთეს მოელიან საზოგადო ბინებისაგან...

Ეინდ ავიღოთ ის პანსიონები, რომლების შესანახავათ აუარებელი ფული იხარჯება და შაგირდებიც კარგად არიან შენახულნი, მაგრამ იმ პანსიონებშიც იმავე ნაკლუანებას ეხედავთ, რასაც ეხედავთ იმ ღარიბ პანსიონებში, სადაც შაგირდზე თვეში ხუთი მანეთია დანიშნული.

�მ სამღვდელოებამ ეს საქმე კარგად გაიგოს და შემდეგში მოტყუებული არ დარჩეს, უნდა დაიქირაოს სასწავლებლის მახლობლად ერთი დიდი სახლი, რადგან ამ სასწავლებელთან სახლები ძალიან იაფია; დაიყენოს შიგ შვილები, იანგარიშონ, რამდენი დაეხარჯებათ წელიწადში თითო შვილზე და თუ სასარგებლო იქნება საზოგადო ბინა მათი შვილებისათვის, მერე შეუდგნენ მის კეთებას.

�მასთანავე არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა კიდევ ჭუთ. სასულიერო სასწავლებელზე. ჩვენს სასულიერო სასწავლებელში თითეულს კლასს მეორე განყოფილება აქვს და სულ სასწავლებელში თოთხმეტი განყოფილება არის. თითო განყოფილებაში ორმოცდა ათი და სამოცი შაგირდია. ქანონით კი ყოველს განყოფილებაში ორმოც შაგირდზე მეტი არ უნდა იყოს. დღეს მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა პავლემ ჰქმნა განკარგულება, რომ თითეულ განყოფილებაში ორმოცზე მეტი შაგირდი არ უნდა იყოს. მართალია, ამ მოწერილობით არ შეიძლება ზედა კლასებიდგან მეტი შაგირდები დავითხოვოთ, მაგრამ სასწავლებლის სამართველო მიღების დროს მაინც იხელმძღვანილებს ამ მოწერილობით და ორმოცზე მეტს არ მიიღებს ძირა კლასებში. მაშინ ბევრი სამღვდელო პირის შვილები დარჩება მიუღებელი სასწავლებელში და მოაკლდებიან სწავლა-განათლებას. ამ შემთხვევაში სასწავლებლის გამგეობა ვალდებულია გააგებიოს ეს სამღვდელოებას და წინადადება მისცეს მათ მეორე ოთხ-კლასიან სასწავლებლის გახსნაზე. ერთი კრების დროს, ვგონებ, სამღვდელოებამ კიდეც

გადაწყვიტა მეორე ოთხ-კლასიანი სასწავლებლის გახსნა, მაგრამ ეხლა ეს კითხვა დავიწყებულია. მე მგონია, რომ ეხლა დროა, მეორე სასწავლებლის გახსნაზე იზრუნოს კაცმა და არა საზოგადო ბინების აშენება ურჩიოს იმერეთის სამღვდელოებას.

წერილები ათონის მთიდამ.

ქართველთა მეფეთა და ხალხთა ძველი დროიდამ მიუქცევიათ ყურადღება წმიდა ადგილებისათვის და ამიტომ იერუსალიმში, ათონის და სინას მთაზე შეუძენიათ ადგილები და დაუმკვიდრებიათ მონასტრები. ჟველა ძველ ქართველთათვის ეს წმიდა ადგილები ძვირფასს საუნჯეს შეადგენდნენ და არაფერს არ ზოგავდნენ მათ შესამკობლად და გასამშვენიერებლად. ამათ დიდი ადგილები შეუძენიათ ათონის მთაზე და სხვა ადგილებშიდაც. მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდელი მდგომარეობა საქართველოსი სულ სხვა არის, აღარც ხალხი ემსგავსება ძველ ქართველებს და აღარც მათი შეხედულება ძველი ქართველების შეხედულებას. მაგრამ არ მჯერა, რომ კიდევ არ იყვენ ჩვენში მრავალნი პირნი, რომელთაც არ ესიამოვნოს მოთხრობა ამ ჩვენ გარეშე სამძღვრების ივერიის მონასტრებზე. თუ თქვენაც ნებას მომცემთ, ბ. რედაქტორო, მე ვეცდები დრო და დრო შევატყობინო თქვენი გაზეთის მკითხველებს ჩვენი ათონის ივერიის მონასტრის მდგომარეობა და ის წვალება, რომელიც დღეს ბერძნის ბერებისაგან ჩვენ გვადგია. *)

„ბროების" გაზეთიდამ შეიტყობდნენ ყველანი, რომ ბერძნის ბერები ყოველნაირ საშუალებას ხმარობენ, რომ განაძიონ ათონიდამ რუსის და ქართველების ბერები და დაისაკუთრონ ქართველთა ივერიის მონასტერი ათონის მთაზედ. ამაზედ ჩემის წინამძღოლობით ასტყდა საჩივარი. საჩივარმა, როგორც იქმნა, მიატანა ხელმწიფე იმპერატორამდის, რომელმანც ბრძანა საქმის გარემოების შეტყობა.

ბერძნის ბერების მხრით ვექილი და საქმის წამყვანია ბერძნის არხიმანდრიტი ბერასიმე. ამან მიართვა თხოვნა რუსეთის ხელმწიფის შინაგან საქმეების მინისტრს, რომელშიცა შემდეგსა სწერდა: „ივერიის მონასტერი, როგორიც არის დღეს ათონის მთაზედ, არის დაწყებული მეოთხე საუკუნიდამ.

„ღშენებულია იგი პირველ ქრისტიანე იმპერატორის კონსტანტინესაგან. ეს მონასტერი პირველად იწოდებოდა კლემენტოვის მონასტრად. ზარნა მეცხრე საუკუნის ნახევარში მოვიდნენ აქ სამნი დიდებულნი პირნი ქართველნი, რომელთაც მოახერხეს ბიზანტიის იმპერატორთა ყურადღების დამსახურება და მიიღეს დიდი შეწირულება მათგან და ამ ბიზანტიის იმპერატორთა შეწირულებათა წყალობით გაამშვენიერეს და დაუდევს საფუძველი ივერიის მონასტერს შემდეგი არსებობისათვის. მეცხრე საუკუნის დასასრულში ეწოდა ამ მონასტერს სახელად ივერია. სახსოვრად ამა ქართველთა დიდებულთა პირთა—ბერებთა. ბიზანტიის იმპერატორების წაბაძვით შესწირეს რაოდენობა ამ მონასტერს ქართველთა მეფეებაც. მაგრამ შემიძლია დამტკიცებით ვსთქვა, რომ ეს მონასტერი არასოდეს არ ყოფილა განსაკუთრებით ქართველთა ბერთა გამგეობაში,— და უძეტესად მეგრელების მფლობელობაში, რომელთაც არა ვითარი შეწირულება არ მიუძღვისთ წინ. ამის დასამტკიცებლად ძეძიძლია მოვიყვანო მრავალი ისტორიული ფაქტები, მაგრამ არ მსურს თქვენი ძვირფასი ყურადღება შევაწუხო ამითი. მე მხოლოდ საკმაოდ მიმაჩნია ზემო ნათქვამიცა. ამ სახით ივერიის მონასტერი არა უარ ჰყოფს იმას, რომ მას შინა სცხოვრებდნენ ქართველნი ბერები, მაგრამ ისინი თვითონ არ განაგებდნენ მონასტრის საქმეს, არამედ ემორჩილებოდნენ საზოგადო მონასტრის წესდებას და არასოდეს საკუთრებაზე ხმა არ ამოუღიათ. ჯვაროსნების პოხოდის „ემდეგ ქართველთა ბერების რიცხვი ძლიერ შემცირდა და, შემდეგ ბიზანტიის იმპერიის დაცემისა, სრულებით მოისპო, ასე რომ ხუთი საუკუნის განმამავლობაში მონასტრის გამგეობა, როგორც ადმინისტრაციულად აგრეთვე სასულიერო მხრით, ეკუთვნოდა და ეკუთვნის მარტო ბერძნებს. უნდა შევნიშნოთ აქ, რომ ძმათა შორის ივერიის მონასტრისა არიან რამდენიმე ქართველნი, მაგრამ ისინი ემორჩილებიან მონასტრის საზოგადო წესდებას და არ თხოულობენ იმას, რასაც ითხოვს ბერი ბენედიკტე, თუმცა მათ უფრო აქვსთ უფლება მოითხოვონ, ვინემ ბენედიკტემ, როგორც მეგრელმა,

„თქვათ თუ გინდ, რომ ივერიის ათონის მონასტერი აღშენებულ იყო ქართველთა ბერთაგან, მაგრამ უნდა მივიღოთ სახეში ის, რომ ივერიის ათონის მონასტერი არის ბიზანტიის იმპერიის სამ-

*) ჩვენ დიდის სიამოვნებით დაგბეჭდავთ ყველა ამ გვარ ცნობებს ჩვენს გაზეთში იმ დარწმუნებით, რომ ყველასთვის ეს ამბები სასიამოვნო იქმნება, საჭირო და სასარგებლო ჩვენი ისტორიისათვის.

რედაქტორი.

ძღვარში და სხვა-და-სხვა პოლიტიკურ ღელვათა და არეულ დარეულობათა გამო ეს მონასტერი იყო აოხრებული ზღვის ავაზაკებთაგან და რამდენჯერმე სრულებით დანგრეული იყო და გადამწვარი. ყოველ ამისთანა უბედურების შემთხვევის დროს მონასტერი კეთდებოდა ყველა ქვეყნის ქრისტიანეთა შეწირულებათაგან. მოვიყვან აქ 1864 წელში ცეცხლის გაჩენას, რომელმანც სრულებით გააქრო ყველაფერი, მაგრამ მონასტრისავე საშუალებით და კეთილთა პირთა ქრისტიანეთა შეწირულებით აღშენებულ არს და შენდება დღესეცა. აი, თქვენო მაღალ აღმატებულებავ, როდესაც რაიმე უბედურება ჰწვევია მონასტერს, ყველას მიუღია მონაწილეობა მის აღშენებაში და ყველამ რომ თავისათ დაიჩემოს ეს მონასტერი, ძნელი იქმნება ამ დავის გადაწყვეტა.

ახლა მომეცით ნება შევეხო ბერის ბენედიკტეს დავას და საჩივარს. არ არის დიდი ხანი რაც ის აქ, ამ მონასტერში მოვიდა და თან მოიყვანა რამდენიმე ძმანი. მან ითხოვა იერიის მონასტრის ძმათაგან, რომ მიეცათ ნება ამ მონასტრის სამძღვარში ეცხოვრა თავიანთ ძმებითურთ. ძმობამ არა თუ არ უთხრა მას ამაზედ უარი, არამედ მისცა უფლება გაეკეთებია კელია და ეცხოვრა, მაგრამ იმ პირობით, რომ დამორჩილებოდა საზოგადო მონასტრის წესდებას, რომელიც არსებობს მონასტრის დაწყებიდამვე. კელია, რომელიც მას მიენიჭა, არის ერთი მდიდართა კელიათაგანი, რომელსაც აქვს მშვენიერი ბაღი და მრავალი ზეთისხილის ხეები, რომლითაც უზრუნველია კელია სარჩოს მხრით".

ეს თხოვნა ბერძნის არხიმანდრიტისა, რომელიც მან მიართვა ჩვენი რუსეთის ხელმწიფის შინაგან საქმეთა მინისტრს და რომელშიაც პირველად ყველა ნათქვამს მართლად დაინახავს არა შორს გამჭვერტი მკითხველი. სამწუხარო ყველაზე მეტად ის არის, რომ ამ პატიოსანმა პირმა ან არ იცის ათონის იერიის მონასტრის ისტორია და ან იცის, მაგრამ თავის მიზნის აღსასრულებლად განგებ უცოდინარად იჩენს თავს. ორივე შემთხვევაში დიდი დანაშაურია მამა არხიმანდრიტი ბერასიმე.

ყველა მისი სიტყვები, რომ დავარღვიო მე უნდა მოვიყვანო აქ მოკლე აღმოწერილი ცნობები ქართველ მატიანეებისაგან იერიის ქართველთა ათონის მონასტერზე: ამ მატიანებიდამ სჩანს, რომ ექვსას ოთხმოცსა წელსა, დროსა მეფობისა კონსტანტინე ბოღონატისა იქმნა მეექვსე მსოფლიო კრება. ამ კრებაზე დადგინდა, სხვათა შორის, მუხლი 18 და 42, რომ მეფემ მისცა ყველა ქრისტიანეთა ბერთა ნახევარი კუნძული ათონის მთისა, იმ დროს აოხრებული არაბებისაგან. ქრისტიანეთა ბერები გაბნეულ იყვნენ ყოველ მხარეზე კუნძულებში და ალაგებში ღა მოკლებულნი მეფეთა მფარველობას; ხშირად უწყალოდ იხოცებოდნენ ბარბაროსთაგან და საზოგადოდ დიდ დევნულებაში და მწუხარებაში იყვნენ. ამისათვის კრებამ მიაქცია ამას ყურადღება და იშუამდგომლა მეფესთან ათონის ნახევარი კუნძულის მათდამი მიცემა...

ათონის იერიის მონასტრის ბერი ბენედიკტე.

(გაგრძელება შემდეგში).

სხვა და სხვა ამბები და შენიშვნები.

ესანიშნავი მოთხრობა ქიევის მიტროპოლიტის პლატონისა.

წარსულ წელში, მოგზაურობის დროს, მიტროპოლიტი პლატონი ერთ მონასტერში დარჩა, სადაც იქ შეკრებილ რამოდენიმე სასულიერო პირებს უთხრა შემდეგი შესანიშნავი ამბავი: „მე ვნახე ერთი შემთხვევა, როდესაც სხვა კაცის ჩრდილი დავინახე ისე ცხადათ, როგორც თქვენ გხედავთ ეხლა. მას აქეთ აგერ ოცდა ათი წელიწადი იქნება. მე ვიყავი პეტერბურღის აკადემიის ინსპექტორათ; რექტორათ იყო ბენედიკტე, რომელიც ბოლოს ოლონეცკის ეპისკოპოსათ იყო. მე ყმაწვილი ვიყავი. ჩვენს აკადემიაში იყო ერთი სტუდენტი ქრილოვი ორლოვის სემინარიიდამ. მე მას ვიცნობდი მაშინაც, როდესაც მასწავლებლად ვიყავი ამ სემინარიაში. სწავლობდა ის არა ცუდათ, მაგრამ მშვენიერი ყოფა ქცევის იყო. ერთხელ მოვიდა ჩემთან და მთხოვა ნება მიმეცა საავათმყოფოში წასვლისა. მე შევხედე, რომ შეწუხებულის სახის იყო და გავგზავნე საავათმყოფოში. გაიარა რამოდენიმე დრომ და მე მაზედ არაფერი შემიტყვია. ერთხელ მე დივანზე ვარ წამოწოლილი და წიგნს ვკითხულობ. წიგნის კითხვას თავი დავანებე და დივანთან სტოლი იდგა და იქით მივიხედე. შევხედე, კაცი სდგას. თვალებზე მოვისვი ხელი და ვფიქრე სიზმარში ხომ არა ვარ მეთქი. შევაჩერდი და ვხედავ, რომ სტუდენტი ქრილოვის სახე არის გაჩერებული და პირდაპირ მიყურებს მე. მე გავოცდი ძლიერ. პატარა ხანს იქით ეს მოჩვენება გაქრა. ამ მოჩვენების ფიქრში რომ ვარ, კარებს მოარაკუნა სტოროჟმა. მე მივეცი ხმა; მან მითხრა: „ბატონო

კრილოვი მოკვდა, ღმერთს სული მიაბარა. მაშინვე წაველი საავათმყოფოში, სადაც მართლა ვნახე, რომ ხუთი მინუტის წინ გარდაცვლილიყო". დაასრულა თუ არა ეს მიტროპოლიტმა, უთხრა იმასთან მყოფთა პირთა: ეს ამტკიცებს, რომ არის რაღაცა საიდუმლო კავშირი ჩვენსა, ცოცხალთა და გარდაცვალებულთა სულთა შორის...

* * *

28 ნოემბერს **ხელმწიფე იმპერატორი** ბრძანებულა სანადიროთ, ცხენებს გაუტაცნიათ და სანა (მარხილი) გადმობრუნებულა, რომელშიაც ბრძანებულა **ხელმწიფე** იმპერატორი. მარხილის გადაბრუნების დროს **ხელმწიფე იმპერატორს** მკლავი ულრძვია; პირველად დიდათ ატკივნებია მკლავი, მაგრამ მალე გადუვლია ტკივილს. მთელი სხეულის ჯანმრთელობა **ხელმწიფე** იმპერატორისა ეხლა კარგ მდგომარეობაშიაო.

* * *

პირველ ამ იანვრიდამ, როგორც ამბობენ, იქმნება ჩვენ კავკაზიაში სალდათების მოკრება იმ წესით, რა წესითაც რუსეთში იკრიბება დღეს. როდესაც ოცი წელიწადი შეუსრულდება ვისმეს, იმას გაიყვანებენ სალდათად, ვინც უნდა იყოს. თუ კლასში სწავლობს, მაშინ დააცლიან მას კურსის შესრულებას და შემდეგ უთუოდ გაიყვანებენ. ერთს არხიეპისკოპოსს შეუტანია აზრი უწმიდესის სინოდში იმის შესახებ, რომ სემინარიაში კურს შესრულებული მაშინვე არ უნდა იქმნენ გაწვეულნი სალდათად. სემინარიელი თუ გაწვეული იქმნა სალდათად და ჩხუბში დაესწრო, მას ეკკლესიური კანონებისამებრ შემდეგ არ უნდა მიენიჭოს მღვდელობაო. ამისათვის ამ არხიეპისკოპოსის აზრით საუმჯობესოა, დადგინდეს კანონათ, რომ სემინარიელი, თუ აკადემიაში არ შევიდეს სემინარიის კურსის გათავების შემდეგ, ოცდა ხუთ წლამდე არ იქმნეს სალდათათ გაყვანილი. თუ ამ დროში მღვდლათ არ იქმნა სადმე ნაკურთხი, მაშინ იქმნეს გაწვეული სალდათათო. იმედია, რომ წმიდა სინოდი ამ აზრს შეიწყნარებს და ეცდება მოშალოს ის მუხლი სამხედრო მოთხოვნილებისა შესახებ სემინარიელთა, რომლითაც ყველა სემინარიაში კურს შესრულებული ვალდებულია სალდათათ შევიდეს კურსის დასრულებისათანავე.

* * *

კავკასიის სამასწავლებლო ოლქის მზრუნველი, როგორც ხმები ისმის, შუამდგომლობს მართებლობასთან, რომ გაიხსნას ორ-კლასიანი სასწავლებლები ვაჟებისა: თფილისში — ორი და თითო ელისავეტოპოლში, ერივანში, ბაქოში, ქუთაისში, ვლადიკავკაზში, გორში, თელავში, სიღნაღში, შუშაში და ნუხში. ამასთანავე ქალების ორ-კლასიანი შკოლაც უნდა იყოს ზემო აღნიშნულ ადგილებში თითო. სწავლა ამ სასწავლებლებში უნდა გაგრძელდეს ხუთი წელიწადი; მაგრამ ქართული ენა, სამწუხაროდ, პირველი კლასის პირველ განყოფილებაში უნდათ მარტო შემოიღონ და ისიც, ალბათ ნახევარი წლის განმავლობაში. ამას გარდა ის აპირებს კიდევ გახსნას სამ-კლასიანი ქალაქის შკოლა ორი თფილისში და ერთი ბაქოში.

* * *

დიდი ხანი არ არის, რაც გული მოიბრუნეს საეკკლესიო სამრევლო შკოლებზე და დაჰკარგეს ის შემცდარი აზრი, რაც აქნობამდისინ ჰქონდათ ზოგიერთ სახალხო შკოლების დირექტორებს. ამ წელში უმაღლესის მართებლობის ბრძანებით ორმოცდა ათი ათასი მანეთი გადაეცა უწმიდეს სინოდის სამრევლო სკოლების გასასხნელად. ზოგიერთი ეპარხიებიდამ მღვდელ-მთავრებმა მოითხოვეს რამოდენიმე ათასი მანეთი სამრევლო სკოლების გასახსნელად და შესანახავად. იმედია, რომ ჩვენი საქართველოს ექსარხოსი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პავლე მოითხოვს რამდენიმე ათას მანეთს ამ ფულებიდამ ჩვენი სამრევლო სკოლებისათვის, რომელთა დაარსებას ასე საჭიროებს საქართველოს ხალხი, სადაც ზნეობა ასე თვალ საჩინოდ ეცემა.

* * *

ერთი ცამეტი წლის ბავშვი, რუსისა ყაზახის შვილი, გვარათ სოლნიშკინი, რომელსაც მოუწადინებია მუსიკის სასწავლებელში შესვლა, პეტერბურგში გაპარულა სახლიდამ და ორი ათასი ვერსი გაუვლია ქვეითათ. ის დადგომია რკინის გზას და მისულა ქვეითათ მოსკოვამდინ და აქედამ გზა ტკეცილით წასულა. გზაში რომ საჭმელი შემოაკლდებოდა თურმე, ითხოვდა და, როგორც იშოვიდა, წავიდოდა ქვეით. ამ სახით ხუთი კაპეიკით გასულა სახლიდამ და მიუწევია პეტერბურგში. პეტერბურგში შეხვედრია ერთი კეთილი კაცი, რომელსაც პური მიუცია და მიუსწავლებია უწმიდესი სინოდის ობერ პროკუ-

�თან, ბ. პობედონოსცევთან. ბ. პობედონოსცევს მიუღია ეს ყმაწვილი თავის მფარველობის ქვეშ. ერთ კვირეს იქით ყმაწვილს შენია ხურვება და ბ. პობედონოსცევს გაუგზავნია სასახლის საავათმყოფოში. ეხლა ყმაწვილი მორჩენილა და კარგად არისო.

***

ჩვენ გვატყობინებენ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლიდამ, რომ ამ სასწავლებელში მისულა ახალი ზედამხედველი ბ. ბრიაზნოი და სასწავლებლის ჩაბარების დროს აღმოუჩენია ათას ხუთას მანეთამდე ცუდათ დახარჯული ფულები. აი ჩვენი წინა №-ში გამოთქმული სიტყვების ახალი დასამტკიცებელი ფაკტებიც. საჭიროა, საჭირო ფიცხელი ზედამხედველობა იყოს დანიშნული ფულების ყუთებზე... დიდი ხანია, რაც ფულების ხარჯვის „ხურვება" გაჩნდა და ერთი კაცისაგან სხვებსაც გადაედვა. ეს სნება ყველას ეყრება და ამიტომ სიფრთხილე მართებს ყველას.

***

27 ნოემბერს სულთანის სასახლიდამ ღამით, ჩვეულებისამებრ, გამოეცხადა იერუსალიმის პატრიარქს ნიკოდიმეს, რომ მის დიდებულებას სულთანს ნებავს პატრიარქის მიღება და ნახვა. მეორე დღეს პატრიარქი დანიშნულ დროზე უფრო ადრე მივიდა და შევიდა ძირა პალატში, სადაც დახვდა მას ობერ-კამერ-იუნკერი ოსმან ბეი; ამან უბოძა პატრიარქს სულთანის სახელით ორდენი პირველი ხარისხისა მედჟიდიე. ბოლოს სულთანი ჩავიდა მასთან და პატრიარქთან დაშთა ოცი მინუტი. პატრიარქმა უთხრა მას შესხმა თათრულ ენაზე და მიართვა კიდეც. ბოლოს გამოეთხოვა პატრიარქი და წავიდა თავის ბინაზე.

ამის შემდეგ სულთანმა მალე გამოუცხადა მსოფლიო პატრიარქს, რომ მისი სურვილია, რათა მართლმადიდებელი ეკკლესიების საქმეებს განაგებდეს სულთანის მართებლობა. ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია სასულიერო წოდებაში და არის ერთი დიდი შფოთი. რით გათავდება ეს საქმე ჯერეთ არავინ იცის.

***

ბიდი ხანია, რაც უწმიდესი სინოდი თხოულობს ცნობების შეკრებას იმისთანა დუქნებზე, რომლებშიაც ღვინო და ვოდკის სასმელები იყიდება და ორმოც საჟენზე უმახლობელესად არიან ეკკლესიებზე. ითხოვს აგრეთვე ცრობას, თუ რატომ არ არის ამ საქმეზე ყურადღება მიქცეული ვისგანაც ჯერ არის. ანონით ორმოც საჟენზე ახლოს ეკკლესიებზე, მონასტრებზე და სასაფლაოებზე სასმელების დუქნების გახსნა არ შეიძლება.

***

ბიდი ხანია, რაც კომიტეტი არის დანიშნული, რომელიც იკვლევს იმისთანა ზომებს, რომლითაც ეკკლესიის შესავალ-გასავლის ანგარიშის საქმე კარგად წავიდეს. ამ კომიტეტს გაუთავებია თავისი მუშაობა და მალე სხვა წესი იქმნება შემოღებული ეკკლესიის შესავალ-გასავლის ანგარიშისა.

***

ნოფელ ქახათიდამ (ზუგდიდის მაზრაშია) ჩვენ გვწერენ შემდეგ წერილს.

„ნოფელ ქახათისთვინ დღევანდელი დღე დასამახსოვრებელი და დიდი დღეა; დღეს შეგვისრულდა, ოტად მაინც, უჩინარი მამულის მოყვარე პირთა წადილი. აქ გაიხსნა სამრევლო შკოლა.

ზუგდიდის ოკრუგის ბლაღოჩინმა, დეკანოზმან მიხაილ მეუნარგიამ, თანა დასწრებითა ადგილობრივის მღვდლისა ჯგვიშიასა და რამოდენიმე გარეშე პირთა, გარდაიხადა პარაკლისი ახალ-გახსნილ შკოლაში, რომელიც ქოველად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ბაბრიელის ნება-დართვით გახსნა აქ პატივცემულმან მღვდლის შვილმან ვ. ჯგვიშამ. შემდეგ მოლებნის გარდახთისა დეკანოზმან მეუნარგიამ წარმოსთქვა რამოდენიმე სიტყვა სწავლა-განათლების მნიშვნელობაზედ, რომელმანც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე, სასიხარულოა ეს საქმე მით უფრო ჩვენთვის, რომ აქ ვერა უშველეთ რა სასოფლო შკოლის გახსნას და როგორც ამ სოფელში, აგრეთვე გარემო სოფლებშიდაც არ არსებობდა არა ვითარი სამოსწავლო შკოლა".

***

ოგორც გვაცნობებენ თფილისიდამ, გალობის აღდგინების თაობაზე დანიშნულა კომიტეტი უწმიდესის საქართველო-იმერეთის სინოდალნი ანტორის წევრის მამა არხიმანდრიტის მაკარის თავს მჯდომარეობით. იმედია, რომ მამა მაკარი ამ ძვირფასს საქმეს არ მოაკლებს თავის შრომას და ენერგიას. ამასთანავე გვაცნობებენ, რომ სხდომებზე იქმნებიან მოწვეულნი

გარეშე პირები, როგორც სასულიერო აგრეთვე სახორციელონი. ესეც, უნდა ვსთქვათ, გონივრილი განზრახვა არის. ყოველიფერი საქმე და კითხვა უმჯობესად იქმნება შემუშავებული მრავალთა პირთაგან და უმეტეს აშორდება შეცთომებს.

ჟურნალ-გაზეთთა მიმოხილვა.

ერთ რუსულ ჟურნალში ,,კიევის სტარინა''-ში ვკითხულობთ შემდეგ საყურადღებო ამბავს: ,,ქალაქ ტულაში მღვდელ-მთავარ დიმიტრისთან, აწ გარდაცვალებულთან, მივიდა ერთი ღარიბი ქალაქის მცხოვრები დედაკაცი და სთხოვა სესხობით ორი მანეთი. მღვდელ-მთავარმა ჯიბეებში მონახა ფულები, მაგრამ მას არ დაესწრო ამ დროს ორი მანეთი. წავიდა თავის ლაქიასთან და კელენიკთან, მაგრამ არც მათ ჰქონდათ ორი მანეთი ფული. მობრუნდა მღვდელ-მთავარი და ჰკითხა ქალს, თუ რათ ეჭირვება მას ეს ორი მანეთი? ქალი მოუყვა: ,,მე, მამაო ჩემო, მომიკვდა ქმარი. ძლივს კუბო ვიყიდე და რაც საჭირო იყო დასამარხათ ვიშოვე; ვიშოვე იმდენი ფულები, რომ საფლავიც გაუჭერი, ეხლა მღვდელი მთხოვს ორ მანეთს და ვერსად ვიშოვე. არაფერი გამაჩნია, თორემ გავყიდდი. ერთი მროხა მყავს და ის რომ გავყიდო, რაღათი უნდა ვასაზრდოვო ბავშვები? არავინ მასესხა. თქვენთან გისხელით და თუ მიბოძებთ; მერე ვიშოვი და მოგართმევ.'' მღვდელ-მთავარმა უთხრა დედაკაცს: ,,ეს მართალია, დედაო, მაგრამ რა ვქნა, რომ არც მე მაქვს ეხლა ორი მანეთი, მაგრამ, არაფერია, მაინც მოგეხმარები ამ გაჭირვებაში. წადი შენ და მე თვითონ მოვალ და დავმარხავ შენ გარდაცვალებულს.'' ამასთან გაუგზავნა მღვდელს კაცი და შეუთვალა, რომ ის მივა გარდაცვალებულის გამოსვენებაზე და მიელოდეს მას. მივიდა გარდაცვალებულის სახლში; გარდაცვალებული გაასვენა, მეორე დღეს უწირა და შემდეგ წესის აგების მშვენიერი ღმობიერი სიტყვა სთქვა და გაუძღვა სასაფლავამდისინ. დამარხვის შემდეგ ყველა მღვდლები, რომელნიც ბლომად შეიკრიბნენ, მიიპატიჟა თვითონ სადილზე. არც დამარხვის დროს და არც სადილზე მღვდელ-მთავარს არ წამოსცდენია ერთი სიტყვა, თუ რატომ მიიღო მან ამისთანა მონაწილეობა ამ ღარიბი კაცის დამარხვაში. ბოლოს მადლობა უთხრა ყველა მღვდლებს და გაისტუმრა; დაიტოვა მხოლოდ გარდაცვალებულის მოძღვარი და, როდესაც აკურთხა და ისტუმრებდა, ხელში მისცა მას ორი მანეთი. მღვდელს მიწა რომ გასკდომოდა ურჩევნოდა, ვინემ მისგან ორი მანეთი მიეღო. მაგრამ მღვდელ-მთავარმა უთხრა: ,,მე ვემსახურე გარდაცვალებულს ჩემის ნებით და თქვენ ხომ მაგისთანა შემოსავლით ცხოვრებთ. რაღა ჯამაგირები გეძლევათ, ეგეც რომ არ აიღოთ? რათი იცხოვრებთ თუ არა ამისთანა შემოსავლითა''!..

—

რუსულ გაზეთს ,,ცერკოვნო ობშჩესტვენნი ვესტნიკ''-ში ვკითხულობთ შემდეგ ამბავს: ,,იალტაში, სიმფეროპოლის ოლქის სასამართლოს განყოფილებაში იყო გარჩეული ერთი საქმე, რომელმაც მთელი საზოგადოების ყურადღება მიიქცია. აი საქმე რაში იყო: ბრალდებული იყო მღვდელი მ. ბირუქევსკი, რომელიც სასჯელში იყო მიცემული იალტის პოლიციის პრისტავის უპატიურების მიყენებისათვის თანამდებობის აღსრულების დროს. მამა ბირუქევსკიმ აჩვენა სამსაჯულოში, რომ მან სთხოვა პრისტავს, მალიგინს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ის, რომ ლივადიაში მისულიყო, რომლის დათვალიერება სურდა მას. მაგრამ ამ კითხვაზე უზრდელი პასუხი გასცა პრისტავმა მას; როდესაც მ. ბირუქევსკიმ შენიშნა მას, რომ მას არა აქვს უფლება ასე უპატიოსნოთ მოეპყრას ვისმე, როგორც პოლიციის პრისტავი და ამისთანა მოქცევა სრულებით შესაფერი არ არის ანაფორიანი მღვდლის, მალიგინმა უთხრა მას: ,,უსუსურ-ხუცეს არ შეუძლია მასთან კადნიერად ლაპარაკი და მსჯელობა, განსაკუთრებით. პოლიციის პრისტავთან. მაშინ გული მოუვიდა მღვდელს და, როგორც მოწმებმაც აჩვენეს, გალანძღა იგი: უწოდა მას ,,უზრდელი'' და უთხრა, რომ ამისთანა საქციელისათვის უბაშიც კარგს შემოჰკვრენ, მაგრამ მას ნებას არ აძლევს მისი ხარისხი და მერე არა ღირს ხელი გაისვაროს კაცმა იმისთანა პირზე, როგორიც არის მალიგინი. საქმიდამ გამოჩნდა, რომ სიგელში სხვა რამეები დაეწერა მალიგინს, რომელზედაც უარი განუცხადეს მოწმებმა. მ. ბირუქევსკიმ წარმოსთქვა უკანასკნელი სიტყვა სამსაჯულოში. ამ სიტყვისაგან აღმოჩნდა, რომ იგი იყო ამ უკანასკნელი ომიანობის დროს პოლკის მღვდლად. დასწრებულა ჩხუბებში; აქვს რამოდენიმე ნიშნები, ჯილდოები; დაჭრილა ომში და ავათმყოფობს მას აქეთ. მოსულა იალტაში საქმით და აქ ამ პრისტავის წყალობით ბრალდებულების სკამზე ზის მისთვის, რომ ამას უპატიურება მიაყენა პრისტავმა! საქმის წარმოების დაწყებიდამ მან მრავალი ტანჯვა აიტანა. ხმა მ. ბირუქევსკის ლაპარაკის დროს უკანკალებდა და ხშირად უწყდებოდა. მსმენელებში ბევრს ტირილი მოუვიდათ. ნაფიცმა ვექილებმა მღვდელი გაამართლეს.'' ვინ აგებს პასუხს ამ მღვდლის ამდენ ტანჯვაზე? არავინ!

III განყოფილება.

სიტყვა

თქმული 6-ს დეკემბერს 1883 წელსა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის ეკკლესიაში იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ რუსულ ენაზე.

> უმჯობეს არს მოკლებული სიბრძნითა (სწავლითა) შიშითა (ღვთისა), ვიდრელა წარმატებული სიბრძნითა (სწავლითა) და გარდამხთომელი სჯულისა (სირაჰ. 19, 21).

Cოდნა, სწავლა, განათლება აჰა უმთავრესი სურვილი და საზოგადო მეცადინეობა ახლა ყოველთა კაცთა, განსაკუთრებით მშობელთა. ჩვენი საუკუნე მომეტებულად განსხვავდება მისწრაფებითა სწავლისა და განათლებისადმი. ჩვენს დროში კაცი მოკლებული სწავლითა საცოდავ კაცათ ითვლება, ხოლო უმეცრება ყოველივე ბოროტების წყაროდ; მსგავსადვე ამისა მეორეს მხრით ყველა ხალხის წოდებაში განათლების გავრცელება ითვლება წამლად ყოველთა უბედურებათა. გარნა ზემოთ მოყვანილ სიტყვებში ისუ ზირაქი, რომელიც თავის დროში არა თუ განათლებულ კაცად ირიცხებოდა, არამედ უწოდებდნენ ბრძნად, თითქმის ამდაბლებს ცოდნას, სწავლას, როდესაც ამბობს: უმჯობეს არს მოკლებული სწავლითა, გარნა ღვთის მოშიში, ე. ი. კეთილ მოქმედი, ვინემ წარმატებული სწავლითა და სჯულის გადამხთომი, ე. ი. უსჯულო, მაგრამ ზირაქი აქ არ იწუნებს სწავლასა, არც იმას იტყვის, რომ სწავლა, ცოდნა თავის-თავად უსარგებლო, ანუ მავნებელი იყოს; ის მხოლოდ იმ აზრს გამოთქვამს, რომ ერთსა მარტო სწავლას, თვინიერ კეთილ ზნეობისა, არა აქვს დიდი ფასი. ამაზედ კი არ შეიძლება არ დაეთანახმოს კაცი. ჩვენ კიდევ უმეტესად გავკადნიერდებით და დაუმატებთ, ანუ უმჯობეს არს თქმა, განვამტკიცებთ, აზრსა სირაქისა და ვიტყვით რომ ერთი მხოლოდ ცოდნა, ანუ განათლება, თვინიერ შესაფერი კეთილ ზნეობისა, მოუტანს საზოგადოებას და თვით სწავლის შემძენსაც უმეტესად ვნებას, ვინემ სარგებლობას. გარნა მაგიერათ თვითეული თქვენთაგანი დაუყონებლივ დამეთანახმება, რომ ყველაზე უმჯობესი და სასურველი ის არის, როდესაც კაცი მდიდარია ცოდნითა და მასთანავე მტკიცე ქრისტიანობრივითა ზნეობითა.

Mართლა, ცოდნა არის მხოლოდ გზა, საშუალება, უმაღლესი მიზანისადმი მიმყვანებელი და იმდენად უნდა დაფასდეს იგი, რამდენათაც ეხმარება კაცს ამ მიზნის მიღწევად. რა არის მიზანი სწავლისა? სად უნდა მიიყვანოს კაცი ცოდნამ, სწავლამ? მე ვფიქრობ, რომ აქ, ამ სასწავლებელში, რომელშიდაც მრავალნი ყრმანი ატარებენ თავისი ცხოვრების უკეთესთა წელთა გასამდიდრებელად და შესაძენად სხვა და სხვა სწავლისა, უადგილო არ იქნება მივაქციოთ ყურადღება ამ კითხვებს. მაგრამ; სანემ ამას გადავსწყვეტდეთ, მივაქციოთ ყურადღება იმაზე, თუ როგორი წარმოდგენა აქვსთ სწავლის მიზანზე სხვა და სხვა სასწავლებელთა მოწაფეებს. სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში, მათ არა აქვსთ სახეში განსაკუთრებით უმაღლესი მიზანი სწავლისა. ისინი ხშირად ბეჯითად სწავლობენ, ცდილობენ ყოველივე ღონის ძიებით შეასრულონ კურსი სწავლისა მხოლოდ მისთვის, რათა მოიპოვონ რომელიმე უფლებანი, მაგალითად: შევიდნენ სამსახურში, მიიღონ ჯამაგირი, ჯილდო. ერთი სიტყვით ისარგებლონ სწავლითა, მხოლოთ თავის გარეგანი, ნივთიერი მდგომარეობის ამაღლებისათვის. მართალია, არ შეიძლება ვსთქვათ, რომ ცოდვა რაიმე იყოს, როდესაც კაცი თავის განათლებით კანონიერად ისარგებლებს, თავის ნივთიერი მდგომარეობა გააუმჯობესოს. კიდეც საჭიროა და კარგი, რომ თვითეული პირი სარგებლობდეს თავის ცოდნითა სხვათა შორის, გაუმჯობესობისათვის თავის ცხოვრებისა — და ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ ღარიბი კაცი ყოველთვის გაჭივრებულია და მისთვისაც არ შეუძლია თავისუფლად ლტოლვა და მიღწევა თვით იმ უმაღლეს ქრისტიანობრივი მიზანისათვის, რომელზედაც ჩვენ ვამბობთ. მაგრამ მაინც ყოველ შემთხვევაში სამწუხაროა, როდესაც ვხედავთ, რომ ნამეტანი ნაწილი სწავლულთა დამყარებულნი არიან სწავლის დაბალ მიზანზე. არა ამაში მდგომარეობს უმაღლესი მიზანი სწავლისა და განათლებისა, და ფრიად სამწუხაროა და გასაკიცხავი, როდესაც განათლებული კაცი მხოლოდ ამ მიზნისადმი ილტვის. სანუგეშოდ ყველა სასწავლებელში არიან არა მცირე რიცხვი ყრმათა. რომელნიც სწავლობენ ბეჯითად და ერთ გულათ მხოლოდ მისთვის, რომ თვით

სწავლა ანუგეშებს მათ. მართლა, ვის სწავლულთაგანს არ გამოუცდია, თუ როგორ სასიამოვნოა სხვა და სხვა საგნების შესწავლა, და შეძენა ცოდნისა სხვა და სხვა საგანთაზედა. თჳით ღმერთმა დანერგა კაცის სულში მისწრაფება ცნობისადმი და არ შეიძლება არ გავიხაროთ იმ ბავშებზე, რომელთაც სწავლის შეძენა გაახარებს და ყოველივე წარმატება საგნებში განაღვიძებს უმეტესსა მეცადინეობას. ამისთვის მართლად ამბობენ, რომ სწავლა, განათლება თავის თავად კარგია და სასარგებლო, რადგან აღამაღლებს და გაამდიდრებს კაცის გონებას, მაგრამ მაინც არ შეიძლება ვსთქვათ, რომ იგი თჳთ იყოს მიზნად თავისა მისისა. არა! იმან უნდა მიიყვანოს კაცი მეორე და უმაღლესი მიზნისადმი და ეს უმაღლესი მიზანი არა სხვა რაიმე არს, გარნა ზნეობითი განვითარება და გაუჯობესობა კაცისა.

Განათლება მარტო მაშინ არის კარგი და მხოლოდ იმისთანა განათლება არის კარგი, რომელიც აღამაღლებს და გააკეთილებს კაცსა ყოვლის მხრით და არა მხოლოდ ერთსა, თუ გინდა უმაღლეს, მისსა ბუნების მხარესა. თვითონ სწავლა არის ორპიროვანი იარაღი, შეიძლება კაცმა მოიხმაროს ის კეთილ საქმეზედაც და ბოროტზედაც, სასარგებლოდ და საზარალოდ თავისა თვისისა და სხვათა. საქმე უმაღლესია სიტყვაზე, ცხოვრება უძვირფასესია სწავლაზე. სწავლამ, განათლებამ უნდა გააუმჯობესოს ყოველნი საქმენი ჩვენნი, მთელი ჩვენი ცხოვრება. რა სასარგებლოა, როდესაც კაცის გონება სავსეა მრავალი გვარი ცოდნითა, ხოლო მისი საქმე და ცხოვრება სრულებით არ განსხვავდება უსწავლელ კაცთა საქმისა და ცხოვრებისაგან. ვინ არს ბრძენ და მეცნიერ თქვენ შორის, აჩვენენ კეთილად სვლისაგან საქმენი მისნი (იაკ. მ. იგ.) იტყვის წმ. იაკობ მოციქული.

Და თქვენც, საყვარელნო მოწაფენო ამა სასწავლებლისა, როდესაც შეხვალთ ცხოვრებასა შინა, დაუმტკიცეთ ყველას თქვენი განათლება თქვენითა საქმითა და ცხოვრებისაგან. გჰქონდესთ სახეში, რომ ახლაც, ჩვენს დროში, ბევრნი არიან, რომელნიც ეჭვით უყურებენ სწავლას და განათლებას. უმეტეს ამისა, ახლა ბევრნი არიან ისეთნი პირნი, რომელნიც არა თუ ამდაბლებენ სწავლას, არამედ პირ და პირ მავნებელად სთვლიან ახლანდელსა განათლებასა. მრავალნი და ისიც არა უგნურნი კაცნი პირ და პირ ამბობენ, რომ ახლანდელი განათლება აფუჭებს ხალხს და მის ზნეობასო. ძლიერ საწყენია ეს აზრი ჩვენთჳს და მათთჳს, რომელთა მრავალნი წელნი სიჭაბუკისა გაგვიტარებია სწავლაში. მაგრამ უნდა გამოვსტყუდეთ, რომ ეხლა მრავალნი, ესრეთ წოდებული განათლებული პირნი, აძლევენ მიზეზს ამის თქმად არა მოსაწონითა მათითა ყოფაქცევითა. განმეორებით მოვიქცევი თქვენდამი, საყვარელნო მოწაფენო, ეცადეთ გაამართლოთ წინაშე ყოველთა გაუნათლებელთა პირთა სარგებლობა სწავლისა თქვენი კეთილი, პატიოსნური და ქრისტიანული ცხოვრებით. ამინ.

სახე უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, გამოკრებული ძველთა რომაელთა ხელთ-ნაწერთაგან. *)

Დიდის ჲ პატივცემულის სენატისადმი რომაელთასა, მმართებელს იუდიანთასა მსურს მშვიდობა.

Დროსა ჩვენსა გამოცხადდა, ჲ აწცა არს ჩვენ შორის კაცი, განსხვავებული კეთილ-მოქმედებითა, ჲ ეწოდების მას იესო ქრისტე: ერი რაცხს მას წინასწარმეტყველად ჭეშმარიტებისა, ჲ მოწაფენი ამის მამა კაცისანი ღირს-ჰყოფენ მას წოდებად ძედ ღვთისად; იგი აღადგენს მკვდართა, ჲ ჰკურნებს ყოველ-გვართა სნეულებათა; კაცი ესე დიდ ჲ უაღმატებულეს არს სახილველობითა ჲ არს ესე ვითარივეცა.

Ვინცა იხილავს მას, მყისვე იგრძნობს თავსა შორის თვისსა მისდამი პატივის-ცემასა შიშითურთ. იგი განსხვავებულ-არს აღნაგებითა, თმანი მისნი არიან შემოსულის წაბლის ფერ, თანასწორ ვიდრე ყურებამდე ჲ ყურთაგან ვიდრე ქვემოდმდე ხუჭუჭნი მტკიცენი ჲ ბრწყინვალენი ჲ მოგძენი ვიდრე ხრებამდე, საშუალ თავსა მისსა განიყოფიან ორ კერძოდ ჩვეულებისაებრ ნაზარე-

*) იმ დროს, როდესაც რომის იმპერიას განაგებდა კეისარი ოქტავი ავგუსტო, ყველა უპირატესნი გამგებელნი რომის იმპერიის სამთავროებისა ვალდებულნი იყვნენ მოეხსენებიათ სხვა და სხვა შემთხვევანი, რომელიც მოხდებოდა მათ სამთავროებში. ამ დროს იუდიანთა სამთავროში იყო სენატორად სენატორი ლენტუნ, რომელმანც საჭიროდ დაინახა, მოეხსენებია რომის სენატისათვის გამოცხადება ქვეყანაზე იესო ქრისტესი, როგორც, მისის აზრით, ღირს-შესანიშნავი. ამ მოხსენების ნამდვილი არის დაწერილი ლათინურ ენაზედ. ლათინურ ენიდამ არის გადათარგმნილი რუსულ ენაზე და იქიდამ ქართულ ენაზედაც არის გადათარგმნილი.

ველთასა. შუბლი მისი თანასწორ არს, არა რა არს მის ზედა ნიშანთაგანი. იგი შემკულ არს პატიოსნებითა და სიმშვიდითა. ბაგენი და ცხვირი მისი არიან მშვენიერად დაწყობილ; წვერსა მისსა აქვს ეგე ვითარივე ფერი, ვითარცა თმათა თავისა მისისათა, და არს იგი მოსქე, გარნა არა გრძელ და ბოლო განყოფილ, მიმომხედველობა მისი მწყნარ და დამამტკიცებელ თვის შორის ჩინებულებათა სრულისა კაცობრიობისათა: იგი არს მშვიდ და სასმო მოძღვრებათა შინა, გარნა ზომიერითა მრისხანებითა: იგი მხიარულ არს თვინიერ დახნისა ჩინებულებათა თვისთა; არავინ იხილავს მას თითქმის მოცინრად, გარნა ხშირადრე იხილვენ მტირალსა; ხელნი მისნი არიან სახილველად სასიამოვნონი, მეტყველებს არა მრავალსა, გარნა მეტყველებანი მისნი არიან სათუმძლიანნი; მოკლედ ვსთქვა, კაცი ესე იჩვენების უაღრეს ყოველთა ძეთა კაცთასა, და იხილვების მის შორის ჭეშმარიტება, რომელსა შინა არა არს სიცრუე!

ღ მ ე რ თ ი.

ღმერთო ძლიერო, მიუწთომელო
კაცის გონებით, ჭკუით ჰაზრითა,
უკვდავო არსო, განუსაზღვრელო,
ზეცით მზირალო შენ დიდებითა!

—

შენ ხარ სინათლე, რომლიდგან ჩვენა
გამოგვიბრწყინდა ერსა ნათელი;
დასაბამიდგან საუკუნო ხარ:
იყავ, იქნები და ხარ მყოფელი.

—

ვითარცა ცვარი ზღვაში ვარდნილი
ეგრეთ ანათებს შენ წინ ქვეყანა,
მაგრამ მითხარი, გამომიცხადე,
შენ დიდების წინ, რა ვარ თვით მენა?

—

არაფერი ვარ, მაგრამ შენ ჩვენში,
ვითა მზე, ეგრე დიდებით ბრწყინავ,
შენსა წმიდასა, მიუწთომელსა,
საღმრთო სახესა ჩემშიდა ჰხატავ.

—

მე არაფერი არ ვარ შენ წინა!
შენის დიდებით ვარ დასახული,
უკვდავი სული ღედის საშოში
შენ მიერ, ღმერთო, მაქვს შთაბერილი.

—

და იგი სული ჩემს სიცოცხლესა
ძალასა აძლევს და აცისკროვნებს,
მაგრამ იგიცა, საუბედუროდ,
ცაშიდა წავა, ლეშს მიმიტოვებს.

—

თუმცა მე უშენოთ შემეძლოს რამე,
რათ არ აღვსდგები მკვდრეთით კვალადა,
რისთვის შთავხდები მიწისა ღრეში
ლეშის დასალპობ— დასადნობადა?

—

არ შეუძლიან კაცის გონებას,
რომ გამოხატოს შენი დიდება,
ან თვისის სუსტის მჭევრ-მეტყველებით
შენ აღმოგიზღვნას ზეცადა ქება.

—

მხოლოდ ვისაც სურს შენი ვედრება,
ხამს მან აღიპყროს მაღლადა ხელნი,
გადიდოს, გაქოს გულს მოდგინებით
და შენ წინ ღვაროს სიმართლის ცრემლი.

ი. ფერაძე.

ნ ა ნ გ რ ე ვ ი ს ა ყ დ ა რ ი.

მაღალს მთაზედა სდგას ერთი ციხე
დიდი, ნანგრევი, ძველი, ხნიერი.
მოწამედ მტკიცის სარწმუნოების
შიგნით საყდარი არს მშვენიერი.

—

ამ საყდარშიდა არს ორი ხატი
ილიასი და ღვთის-მშობელისა,
აღარა ბრწყინავს მათ წინ სანთელი;
ხმა აღარ ისმის მგალობელისა.

—

აღარ არიან მაშიდა ერნი
გულის მტკივნელნი თვის მამულისა
და მხურვალისა, წრფელის ვედრების
აღმავლენელნი წინაშე ღვთისა.

—

ცაშიდა მდგომნი, მავედრებელნი
აღარ ყნოსავენ საკმევლის სუნსა,
არცა უმზერენ იმის ტრაპეზსა,
წმიდა ხატებით მას შემკობილსა.

—

თუნდ დაივიწყოს იგი სუყველამ,
თუნდ ნუ მოხედონ მის არე-მარეს,
მაგრამ მაშიდა მაინც რაღაცა
თვითა ,,მაღალი‘‘ დაისადგურებს.

—

აქ საიდუმლო ხმა გვიქადაგებს
ხმა ხან მკვნესავი, ხანაც მწუხარე:
,,არ დაივიწყოთ, მარად გახსოვდეთ
მტერთგან ნაწამი ეს თქვენი მხარე!‘‘

ი. ფერაძე.

IV განყოფილება.

მართლმადიდებელის ეკკლესიის ღვთის მსახურების ტიბიკონის ზოგიერთი კითხვების ახსნა და განმარტება.

როგორ უნდა ათქმევინოს აღსარება მოძღვარმა ყრუს და მუნჯს.

მუნჯთა და ყრუთა არ შეუძლიათ, რომ სიტყვა გამოთქვან და აღსარება უთხრან მღვდელსა. ღმერთი არასოდეს არ მოითხოვს კაცისაგან შეუძლებელს და აღსარება კი მიუცილებელი მოვალეობაა კაცისათვის სთქვას მოძღვართან. ამისათვის თუ წერა იცის ყრუმ და მუნჯმა, ამ საშუალებით შეუძლია მოძღვარმა ათქმევინოს აღსარება მონანებულს; თუ წერა არ იცის აღმსარებელმან, შეიძლება მღვდელმა იკმაროს ნიშნების ჩვენებაც. თუ აღმსარებელი ანიშნებს მას, რომ იგი სწუხს თავის ცოდვებზე და ითხოვს შენდობის მიცემას. ამ შემთხვევაში აღმსარებელის მონათესავეთაგან უნდა შეისწავლოს მოძღვარმა ის ნიშნები, რომლებითაც ყრუს და მუნჯს ანიშნებენ. თუ წერა იცის მაშინ კითხვები უნდა დაწეროს და ისე გამოჰკითხოს მოძღვარმა.

როგორ უნდა მოიქცეს მოძღვარი, როდესაც აღმსარებელის ენა სრულებით არ ესმის?

თუ აღმსარებელმა სრულებით არ იცის მოძღვრის ენა, მაშინ შეიძლება მოძღვარმა იკმაროს ხელის ნიშნობით გამოთქმული აზრი აღმსარებლისა, თუ იგი გამოხატავს, რომ ცოდვილია ღვთის წინაშე და ითხოვს ცოდვათა მიტევებას. რიგი არ არის, რომ მთარგმნელის საშუალებით ათქმევინონ აღსარება. მაგრამ თუ აღმსარებელი ავათ არის სასიკვდილოდ, ამასთან ეჭვი არის მის ზნეობითი ცხოვრებაზე, მაშინ შეიძლება მღვდელმა მოიხმაროს თარჯიმანი. ამ შემთხვევაში თარჯიმანი ვალდებულია, საიდუმლოთ შეინახოს ყოველი შეტყობილი საიდუმლო აღსარების თქმის დროს. ძლიერ კარგი იქმნება, თუ ისე მოახერხებს მღვდელი, რომ თარჯიმანს არ ეცოდინება აღმსარებელი.

როგორ უნდა მოიქცეს მოძღვარი, როდესაც აღმსარებელი უკანასკნელ მდგომარეობაში იმყოფება?

თუ აღმსარებელმა ცნობის დაკარგვისა გამო ვეღარ დაასრულა აღსარება ვრცლად, მოძღვარმა არ უნდა დააყენოს შენდობის მიცემა მობრუნების იმედით. თუმცა მოძღვარი დარწმუნდა, რომ აღმსარებელი სწუხს თავის ცოდვებზე. მაგრამ გამოთქმა აღარ შეუძლია, მაშინვე უნდა მისცეს შენდობა და წაუკითხოს გახსნის ლოცვა.

ეგრეთვე უნდა მოიქცეს მღვდელი იმ შემთხვევაში, როდესაც აღმსარებელი ძლიერ დასუსტებულია და ლაპარაკის ღონე აღარ აქვს.

როგორ უნდა მოიქცეს მღვდელი უეცარი შემთხვევების დროს, თუ ოლარი არ აქვს და კაცს მოელის მსწრაფლი სიკვდილი.

ამისთანა შემთხვევებში, მაგალითებ, როდესაც კაცი ხიდამ გადმოვარდება, ანუ რკინის გზაზე მომხდარი უბედურებისაგან მოსალოდნელია ჩქარი სიკვდილი, მაშინ მღვდელმა უოლაროთ უნდა წაუკითხოს შენდობის და ცოდვათა გახსნის ლოცვა.

ვალდებულია თუ არა მღვდელი გააგებინოს პოლიციას კაცის მკვლელნი, რომელიც შეიტყო მან აღსარების დროს?

საეკკლესიო და სამოქალაქო კანონთა დადგენილობაში ორი შემთხვევა არის მარტო ნაჩვენები, რომელზედაც მოძღვარი ვალდებულია აღსარებით შეტყობილი ცოდვა აცნობოს მთავრობას. როდესაც მღვდელი შეიტყობს აღსარებაში ბოროტ განზრახულებას ხელმწიფის წინააღმდეგ და ხალხში მოხსხდენ ცუდ განზრახულებას მართლმადიდებელი ეკკლესიის წინააღმდეგ, მაშინ მღვდელი ვალდებულია აცნობოს მთავრობას ამ ბოროტ განზრახულებაზე და ამით ცუდი რამე მოსალოდნელი აღარ მოჰხდეს. ამათ გარდა რაც უნდა შეიტყოს მღვდელმა აღსარებაში, ვალდებულია საიდუმლოდ დაიცვას.

მღვდელი, რომელიც მსურველს აღსარებას არ ათქმევინებს და კაცი უაღსარებოთ მოკვდეს, დათხოვნილი უნდა იქმნეს თანამდებობისაგან და პრიჩეტნიკის ადგილზე ჩამოყვანილი. ამავე სასჯელს მიეცემა ის მღვდელიც, რომელიც აღსარებას განთქვამს.

ყოველი მოწამე, რომელსაც სამს წელში არ უთქვამს აღსარება, შეუძლია წინააღმდეგმა მხარემ გადააყენოს ჩვენებისაგან და ფიცისაგან. უქ. უწ. სინ. 1745 წ.

რედაქციის პასუხი.

ქ. ქუთაის. ბარ. ს—ს. თქვენი მოთხრობა არ იბეჭდება, რადგან ზნეობითი სწავლას არ ეხება. კარგი იყო, რომ მოგეყვანა მაგალითები, თუ როგორ ისჯებიან დედ-მამის უპატივცემულო შვილები...

ქ. თფილისს. გ. ჩ—ს. ახირებული პირობა არის და ამიტომ არ დაიბეჭდა. ამისთანა წესების შემოღებას დიდი დაფიქრება უნდა...

ქ. ქუთაისში. დ. რ. ხ—ძეს. იმისთანა სტატიებს, რომელშიაც რედაქციის ქება არის, არ დავბეჭდავთ.

ს. ხიზაბავრას. ვ. მ—ს. თქვენი მეორე წერილის დაბეჭვდა არ მოხერხდება, რადგან პროგრამის წინააღმდეგია. იმედია არ დაგვივიწყებთ.

ქ. ქუთაისში. მ. ფ—ს. კაი მთქმელს კარგი გამგონე უნდაო, იტყვიან. ამისათვის არ იბეჭდება.

— გ. ჩო—ლს. შეიძლება შემდეგ ვისარგებლოთ ლექსებით. დაპირებულ სტატიებს დიდის სიამოვნებით მივიღებთ.

რიცხვ.	დღე.	კალენდარული ცნობები. იანვრის თვისა 1—14 რიც.
1	კჳრა.	ლა კჳრიაკე. კჳრა წინეთ ნათლისღებისა. ხორციელად წინა დაცვეთა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. წმ. მღვდელ-მთავრისა მამისა ჩვენისა ვასილი დიდის ხსენება. სახარება იოან. თავი ი—თ—ივ. ხმა ქ.
2	ორშ.	წმ. მამისა სილიბისტრო რომთა პაპისა.
3	სამშ.	წმ. წინასწარმეტყველისა მალაქიასი.
4	ოთხ.	კრება წმ. სამეოც და ათთა მოციქულთა.
5	ხუთ.	წმ. მოწამ. თეოპემპო და თეონასი (მარხვა).
6	პარას.	ღვთის განცხადება, ნათლისღება უფლისა იესო ქრისტესი. დიდი უქმე.
7	შაბ.	კრება წმ. დიდებულისა, წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლის მცემლისა იოანესი.
8	კჳრა.	ლბ. კჳრიაკე. ღირსისა მამისა ჩვენისა გიორგი ხოზიბელისა და ემელიანე აღმსარებელისა. სახარება თ. ხმა გ.
9	ორშ.	წმ. მოწამისა პოლიევქტოსი.
10	სამშ.	წმ. მღვდელ-მთავრისა მამისა ჩვენისა გრიგოლი ნოსელ ეპისკოპოსისა.
11	ოთხ.	ღირსისა მამისა ჩვენისა თეოდოსი ზოგად ცხოვრებულთა თავისა.
12	ხუთ.	წმიდისა მოწამისა ტატიანასი.
13	პარას.	წმ. მოწამეთა ერმილე და სტრატონიკესი.
14	შაბ.	ღირსისა დედისა ჩვენისა და მოციქულთა სწორისა ნინა ქართველთა განმანათლებელისა, და ღირსთა მამათა ჩვენთა რაითას და სინას მოწყვედართა.

პირველ იანვრიდამ დამლევამდის დღეს მოემატება ერთი საათი და ორმოცდა ათი მინ.

განცხადებანი.

მიიღება ხელის მოწერა ქართულს სასულიერო გაზეთს „მწყემსზედ“

გაზეთი გამოვა ორ ბეჭდის ქაღალდის ფურცელზე.

გაზეთის ფასი ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად—**ხუთი მანეთი**, ნახევარი წლისა—**სამი მანეთი**. შეიძლება მარტო ოკდომბრის და ნოემბრის თვეების №№ დაბარებაც.

ხელის მოწერა გაზეთზე მიიღება ქ. ქუთაისში: ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს ესტატე ბესარიონის ძეს ლამბაშიძესთან.

ქ. ტფილისში: საქართველო-იმერეთის სინოდალნის კანტორის წევრს არხიმანდრიტ გრიგორისთან.

გაზეთის დაბარება, წერილობით და პირის-პირ მოლაპარაკება შეუძლია ყველას რედაქტორთან რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლებში. გაზეთის დაბარება და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:

ქართული გაზეთის „მწყემსის“ რედაქციაში დაბა შორაპანს (ყვირილაში). **Въ мѣстечко Шорапанъ (Квирилы) въ редакцію газеты „МЦКЕМСИ“.**

მიიღება ხელის მოწერა

მომავალ **1884** წლისათვის გაზეთს

დროებაზედ

(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, „დროების“ რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

თელავში, ვანო როსტომაშვილთან.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან

ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ***въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.***

ფასი ხელის-მოწერისა:

წლით (12 თვით)	9 მან.	6 თვით	5 მან.
11 თვით	8 მ. და 50 კ.	5 თვით	4 მ. და 50 კ.
10 თვით	8 მ.	4 თვით	4 მ.
9 თვით	7 მ. და 50 კ.	3 თვით	3 მ.
8 თვით	7 მ.	2 თვით	2 მ.
7 თვით	6 მ.	1 თვით	1 მ.

სოფლის მასწავლებელთავთის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

ჟურნალი „ივერია“

(წელიწადი მერვე)

მომავალი 1884 წ. იანვრიდამ ჟურნალი „ივერია“ გამოვა ყოველ-თთვე და თთვე იმავე სახით და სივრცით, როგორც აქამომდე გამოდიოდა.

ხელის მოწერა მიიღება

თბილისში: შავერდოვის სააგენტოში და „ივერიის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლებში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან, სადაც ზედა სართულში „დროების“ რედაქციაა და იქავ, შუა სართულში, რედაქცია „ივერიისა“.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში ბულვართან.

ბათუმში, „წერა-კითხვის საზოგადოების“ სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძე'თან.

ფასი მთელი წლისა 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის—5 მან., ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ ჟურნალი: ***Въ Тифлисъ, въ редакцію журнала „Иверія“.***

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე.

Дозв. цензурою Кутаисъ, 31 Декабря 1883 г.

რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ.

მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძის და ფერაძის.